წელიწადი I-ლი

შაბათი 27 ნოემბერი

ფასი 15 მან.

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . .

4 " " " . . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზე № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 10 საათ. საღ. 3ს.

№ 66 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 66

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროვალ-სხირტლაძის

ოთხშაბათიდან 24 ნოემბრიდან დაიწყება

კინო-რომანის ჩვენება

ნილაში თეთრი კბილებით

16 ეპიზოდი—32 ნაწ.

მთავარ როლსასრულებს

ცნობილი პირლ-უაიტი

4 სერია. 7-თე ეპიზოდი—იაპონიის შეიარაღებულობა. 8 სიყვარული..

ნადირობა სამხრეთელ მხეცზე. ძლიერ სასაცილო.

ანონსი: სამშაბათს, 30 ნოემბერი—5 სერია ნილაში თეთრი კბილებით.

ელექტრო-თეატრი „ო ლ ი მ პ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ

ამერიკული სისტემით, მყუდროდ და თბილათ.

ოთხშაბათიდან, 1920 წ. 24 ნოემბრიდან

პირველათ ბათომში

ცამარი დაანგრია ულმობელმა ბედმა

დრ. 5 მოქ.

ვოვას არ ამინებენ

მხიარული კომედია.

შმაევსკის თეატრი

სახალხო წარმოდგ. მმართველი წრე

№12.

შაბათს 27 ნოემბერი

ელ. ჩერქეზიშვილის გასტროლი

თბილ. სახ. სახ. დამსახურ. მუშაკის ნიკო გოცირიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ა. ცაგარლის

ხანუმა

კომ. 3 მოქ.

რეჟისორი ივ. ბარველი.

მონაწილეობენ: ბარველი ივ., გოცირიძე ნ., მარგველაშვილი ვ., მჭედლიშვილი მ., მალალიშვილი გ., ძნელაძე დ., ლამბაშიძე შ. ხონელი ე., ჩერქეზიშვილი ე.

ადგილების ფასი მომატებულია — დას წყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე

შემდეგი წარმოდგენა ოთხშაბათს 1 დეკემბერს მზადდება ისტ. პიესა „სამშობლო.“

სახ. წარმ. მმართველი წრის ადმ-ცია.

საკომისიო მაღაზია

„ამხ. სოიუზი“

(მიხაილოვის 7 № 15 ლორის.-მელიქ. ქ. კუთხ.)

ყიდულობს და იღებს საკომისიოდ

ძვირფას ნივთებს, ბრილიანტებს და სხვა.

## განსაკუთრებულ მმართველობაში.

— განსაკუთრებულ რწმუნებულის სამმართველოში დაარსებულია მონდობილობათა ოფიცრების მუდმივი მორიგეობა. მონდობილობათა ოფიცრები: კაპიტნები, გ. კუპრაშვილი და გურგენიძე.

— გარდა ამისა განსაკუთრებულ რწმუნებულის სამმართველოს საერთო ცარბაზში ზის მუდმივი მორიგე მოხელე, რომელიც მთხოვნელებს აძლევს საჭირო ცნობებს.

— განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ქალაქის საბინაო კომისიას წინადადება მისცა, სასწრაფოდ უშოვონ ბინები განსაკუთრებულ მმართველობის მოსამსახურეთ და საერთოდ სახელმწიფო მოხელეთ.

— განსაკუთრებული რწმუნებული, ოლქის ინჟინერის ბ-ნ ე. გიორგობიანს ტელეფონოგრამით ეკითხება, თუ რატომ არ არის ხიდი მაკრიალ ლიმანზე და რატომ არ სწორდება აქეთ გზა.

— ბ-ნმა რწმუნებულმა ბძანება გასცა ოლქის სასანიტარო უწყებისადმი, რომ საჩქაროდ მიაწოდონ სამკურნალო წამლები, ქედასა და აჭარის წყალზე.

— ბ-ნი რწმუნებული ოლქის საექიმო ინსპექციას აუწყებს, რომ ქედაში საჭიროა ქალი ექიმის დანიშვნა, აგრეთვე ბ-ნი რწმუნებული ითხოვს საჩქაროდ იქმნას გამორკვეული, თუ სად შეიძლება საფერშლო პუნქტის გახსნა.

— განსაკუთრებულ რწმუნებულთან არსებულ სათათბირო საბჭოს მორიგი სხდომა მოხდება დღეს, ნაშუადღევს

— განსაკუთრებულ რწმუნებულის საქმეთა მმართველი ბ-ნი ალ. შენგელია იღებს მთხოვნელებს ყოველ დღე დილის 10 ს. 11 საათამდე.

— საბაჟოს გამგის მიმართ განსაკუთრებულმა რწმუნებულმა განკარგულება გასცა, რათა ამიერიდან მუსლიმანი ქალები ჩვეულებრივ მგზავრთა გაჩხრეკის დროს გაჩხრიკოს მუსლიმანმა ქალმა, რომელიც უნდა დაიქირაოს საბაჟომ.

— განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ციხე სიმაგრის საინჟინერო ნაწილის უფროს პოლკ. კანდელაკს უბძანა რომ ყოველ დღე წარმოუდგინოს მას ცნობა თუ სად და რომელ ფორტზე რამდენი მუშა მუშაობს.

— აფხაზეთის კომისარიატს განსაკუთრებული რწმუნებული აუწყებს, რომ საჭიროა საზღვართა დაკეტვა რომ ყირიმის გამოქცეულები რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ შემოვიდენ.

— საგარეო საქმეთა სამინისტროს ბ-ნი რწმუნებული აუწყებს, რომ საზღვარ გარეთ და განსაკუთრებით სტამბოლში გავრცელებულია ყალბი ინფორმაცია საქართველოს შესახებ. განსაკუთრებული რწმუნებული აცნობებს სამინისტროს რომ მისგან დაარსებულია ცალკე საინფორმაციო ბიურო სწორ ცნობების მისაწოდებლად და სტამბოლში იგზავნება ჩვენი გაზეთები

— განსაკუთრებულ რწმუნებული შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებს, რომ მისი აზრით რუსი მეზღვაურები რომლებიც ბათომში იქმნენ დატუსაღებულნი უნდა გაიგზავნონ თბილისით ბაქოში.

## ბათომი, 27 ნოემბერი.

პრესაში გძელდება ქიაზიმ-ბეის განცხადებათა გარშემო აზრთა გაცვლა გამოცვლა და მისი შეფასება-გადაფასება. არსებითად ქიაზიმ-ბეის ჯერჯერობით არაფერი არ უთქვამს.

ოსმალეთი საქართველოს კეთილ განწყობილებას მოსურნეობა ეს საყოველთაო ჩვეულება ყველ ხალხთა და სახელმწიფოთა.

სხვანაირად არც შეიძლებოდა რომ ხან, ქიაზიმ-ბეი ჩვენში მოვიდა და ჩვენსა და ოსმალეთ შორის ამჟამად არავითარი კონფლიქტი არ არის რასაკვირველია ის ჩვენ სხვა ენით ველ დაგველაპარაკებოდა. ჩვენთვის უძლიერესად საინტერესო მეომარ ქემალის ამ დროინდელი ტაქტიკა, ცნობენ თუ არა ოსმალები საქართველოს ხელის უფლებას ბათომზე და არტაანზე? მხოლოდ ამ კითხვათა გადაჭრა გამოარკვევდა ჩვენ და მათ დამოკიდებულებას.

და ყანაიდან საქართველომ არ

მოითხოვეთ ყველა მაღაზიებში, კიოსკებში რესტორანებში, კაფე შანტანებში და დამტარებ.

პაპიროსები „გლორია"

ბინიატ-ოღლის ქარხნის ფირმის პატრონისა.

ახლად გამოშვებული

ფრანგული საქციონერო საზოგადოების „ხმელთა შუა კომერციული ბანკი."

ილის ჯერ ოსმალთა საბოლოო სიტყვა ხსენებულ კითხვის შესახებ, ამიტომ დგას რა გამოურკვევ პერსპექტივის წინ, როდესაც მის გარშემო იარაღი მოქმედებს ისიც ნაწილობრივ თავს ღყრის თავის ძალებს და ემზადება თავდაცვისათვის.

საქართველოს იდეალია მშვიდობიანობა და კეთილი განწყობილება ყველა მეზობელ ერებთან, მაგრამ ამავე დროს საქართველო თავის სუვერენულ უფლებების შელახვას არ დაუშვებს. საქართველოს სხეულს ხელს ვერავინ შეახებს.

ქართველი დემოკრატია მშრომელი საქართველო თავ განწირული დაიწყებს ეროვნულ ხალხოსნურ თავისუფლების მის მთლიანობის და დამოუკიდებლობის დაცვას

ეს ყველა ჩვენმა მტერ მოყვარეებმა უნდა იცოდენ და დაიჩქარონ სამშვიდობო დამოკიდებულების დამყარება ჩვენთან ვინაიდან ყველა მხარეებისთვის სანუკვარი და აუცილებელია.

ხოლო სანამ ეს არ არის მიღწეული, მანამდე რესპუბლიკა იძულებული იქნება ვითაარცა გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი ძალთა მოკრებილი შეჰყურებდეს მოვლენათა შლას.

## საბერძნეთის ცვლილება.

საბერძნეთის ხალხმა ვენიზელოსი გაწირა და ისევ მეფე კონსტანტინეს დაუძახა. არვინ ელოდა საბერძნეთის არჩევნების ასეთ შედეგს.

ვენიზელოსი გალმერთებული ჰყავდა ბერძნის ხალხს და ასეთი უმადლურობა საყოველთაო განცვიფრებას იწვევს.

ბევრი გერმანის პოლიტიკას გამარჯვებით ხსნის ათინის არჩევნების რეზულტატს, ბევრი კიდევ ისევ მოკავშირეებისაგან მოწყობილ მახინაცია, კომბინაციად.

საერთოდ რა თქმა უნდა ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ სრულიად გამიფვრა ათინის „ამბისა" ძნელია.

ოსმალეთში დიდი კრიზისი აქვთ მოკავშირეებს. ამ ჟამად საბერძნეთი რომელიც ვენიზელოსის ფიგურით მათი პოლიტიკას ანამდვილებდა დიდ ბიზანტიის და პონტოსის პრობლემებში გადავარდნილი, კარგა ხანია აღარ მაწონდათ მოკავშირეებს. გარდა ამისა, მოკავშირეებმა არჩიეს ოსმალეთთან მორიგება, ქემალთან მოლაპარაკებაც დაიწყეს და ამ დროისთვის ვენიზელოსის გეგმა დიამეტრალურად იყოლებელი იქნებოდა, ვენიზელოსის წასვლა აადვილებს ევროპის და ოსმალეთის მორიგებას.

ყველაზე უფრო ვენიზელოსის დამარცხება ოსმალეთს უნდა უხაროდეს.

საერთაშორისო ვითარებისთვისაც იცვლება აღმოსავლეთის პოლიტიკური ამინდი.

საბერძნეთი როგორც ბიზანტიის აღდგენის და პონტოსის გათავისუფლების პრაქტიკული „მჭედელი" სცენიდან ეფარება, მოდის საბერძნეთი მეფის პიროვნება გინდა გერმანოფილი უწოდეთ ამ საბერძნეთს და გინდა მოკავშირეების კომბინაცია, ორივე შემთხვევაში ერთის თქმა შეიძლება: აღმოსავლეთის ავთორიატების ცეცხლს დიდი მუგუზალი ეცლება და მით აღმოსავლეთის მდგომარეობაც სავს ბით შეიცვლება რიგაც ყველაზე მეტს ოსმალეთი მოიგებს.

**ირაკლი.**

## სტამბოლის ცნობები.

— ხმებია ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა დახმარებას იტალიას ან ინგლისს მიაწდობენო.

— სტამბოლის ბერძნულ მისიის ცნობით, ეს აზრი უკვე მოძველებულია და პრესა ძველ ცნობებს ჰბეჭდავს, არაა მოსალოდნელი, რომ დღეს რომელიმე სახელმწიფომ ამიერ-კავკასიის დახმარება იკისროს,

— ბათომში ჩამოსულ ლაზების გადმოცემით მცირე აზიის ბრძოლის ასპარეზზე დიდი თოვლი მოვ და.

— ანატოლიის სანაპიროებთან გარიყულა მეზღვაურთა პატარა გემი „ხოფი".

— ტრაპიზონში ხმა დადის, რომ საბერძნეთის მეფე კონსტანტინემ უკვე გაჰგზავნა კაცები ქემალ ფაშასთან მოსალაპარაკებლადო.

— ანტანტის წრეებში ერთი აზრი ტრიალებს რომ ქემალ ფაშა აუცილებლად შეეცდება ბაქოს დაკავებას და მას უთუოდ ექნება ომი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთანო.

— სამხედრო წრეებში ხმა დადის, რომ ამიერ კავკასიის შესახებ „ანტანტას" მოლაპარაკება ჰქონდა მოსკოვთანო.

## ქრონიკა.

**სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის უფროსის ამხანაგი ბიქტორ შედია მძიმე ავადმყოფი შეიქნა.**

ბათომში ჩამოვიდა ზაქარია გურული.

ამინდი ბათომში. ეს ერთი ხანია ბათომში გადაუღებლივ წვიმს, გუშინ დიდი სეტყვაც მოვიდა.

27 ნოემბერს, მუშათა სასახლეში დანიშნულია საზოგადო კრება საავადმყოფო კასის რწმუნებულთა სასურველია კასის ყველა წევრთა დასწრება.

ხუსეინ ჯაში თხოვს მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს, რომ ვინაიდან მას ჰყავს 1000 სული ცხვარი ნება დართოს შემოიტანოს ბათომში საჭირო თივა ამ ცხვრების საზამთრო საკვებათ.

კვირას, 28 ნოემბერს შუადღის 12 საათზე შმაევსკის თეატრში „სახალხო წარმოდგენების მშართველი წრის" ინიციატივით გადახდილი იქნება საქალაქო პანაშვიდი ქართული თეატრის დამსახურებული მსახიობის ვლ. მესხიშვილის ხსოვნის პატივსაცემათ.

კვირას 28 ნოემბერს დღის 4 საათზე საკრებულო დარბაზში დანიშნულია ბათომის სახალხო გვარდიის საერთო კრება. დღის წესრიგი: მოხსენება რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მეორე ყრილობის შესახებ და სხვა მიმდინარე საკითხები. დასწრება ყველა გვარდიელთათვის სავალდებულოა.

სახალხო გვარდიის ბათომის საოლქო შტაბი

მეოთხე უბნის კომისრის კაბინეტში შესულა ახალგაზდა ყმაწვილი და კომისრისათვის მილიციონერის ადგილი უთხოვია. კომისარს დადებითი პასუხი მიუცია და მეორე ოთახში გასულა. შემოსვლისას შეუმჩნევია რომ კომისრის ბლანკი მოუპარავს ზემოხსენებულ პირს. კომისარს ის გაუჩხრეკია და სხვა ბლანკებიც უნახავს მისთვის. როგორც გამოძიებამ დაატკიცა, ის ყოფილა ბოჭორიშვილი, თან ქონდა უფროსი მილიციონერის მოწმობა და მოვაჭრეებს თავისი თანამდებობით ფულს ტყუებდა. ბოჭორიშვილი შეპყრობილ იქნა და ციხეში გაგზავნა.

მადლობის გამოცხადება ბ. რედაქტორო ნება მომეცით ნავთსადგ მუშა-მოსამსახურეთა და მეზღვაურთა კავშირის გამგეობის სახელით ღრმად მადლობა გამოუცხადო გემების მოიჯარადრე გრიგოლ გიორგის-ძე ინჟინერ გეგეჭკორს რომელმაც კეთილი ინება და ზემოხსენებულ კავშირს გამოუწერა გაზეთი „ბათომის ფურცელი" მიმდინარე წლის ბოლომდე გამგეობის თავმჯდომარე ლ. გაბუნია.

**პორტში.**

25 ნოემბერს მოვიდა გემი „კელტი" კარგი ამინდის შემდეგ გაემგზავრება: სტამბოლში და იერუსალიმში. ღებულობს ბარგებს და მგზავრებს:

ხვალ კონსტანტინეპოლში სამსუნზე გავლით, გავა გემი „გორტენზია".

მოკლე ხანში მოელიან ტრიესტიდგან გემ „პალაცკის".

მოვიდა გემი „მერანი."

გემი „კონსტანტინეპოლი" განაგძობს გადმოტვირთვას და ამ მოკლე ხანში გავა ნეაპოლსა და გენუაში მიიღებს ბარგებს და მგზავრებს.

გემები „პატრიან" და კონსტანტინე" განაგძობენ ბერძენ ლტოლვილთა მიღებას.

გემი „სიკანია" გავიდა სოხუმს ნივზით და პალმის ხეების-თვის.

სადგურზე ძლიერ გახშირდა ქურდობა, ისე დღე არ გავა რომ, ვინმეს ჯიბიდან რაიმე არ ამოაცალონ. გუშინდამ ოლქის მილიციამ მოსამსახურე ქალს ლიუდმილა კახიანს ჯიბგირებმა ჯიბიდან ამოაცალეს საფულე ფულებითა და საბუთებით. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება

ბათომისა ნავთსადგურის სამმართველოს და მთავარ სამმართველოს მუშა მოსამსახურეთა და მეზღვაურთა პროფესიონალური კავშირის გამგეობაში აირჩიეს თავმჯდომარეთ გაბუნია, მის ამხანაგათ უკუაევი ადიუნათ სვანიძე, ჯიჯუკი და ორმოცაძე

ინჟინერ გეგეჭკორის გემი „დონეცი" ვავა სოხუმისაკენ და გზათ გაივლის საქართველოს ნავთსადგურებს.

## თეატრი.

საღამო ი. გრიშაშვილის, გ. ქუჩიშვილის და სხვათა მონაწილეობით 23 ნოემბერი სასიამოვნო დღეთ ჩაინიშნება ჩვენთვის—ბათომელებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ თეატრში ფარდის აწევამდე აუდიტორიას ბ-ნმა ბარველმა ქართულ სცენის დიდი უბედურება ლადო მესხიშვილის დაკარგვა აცნო, ეს საღამო მაინც ტკბილ მოგონებათ დარჩება ჩვენთვის.

ქართული რომანსები რომელსაც უკეთ ქალი და კაცი იმღეროდა, ელექტრონივით ხვდებოდა გულს, შემდგომ ვოდევილი სურათი ქართლის ახლო წარსულ ცხოვრებისა მიზან შეწონილი იყო ბათომისათვის, ბათომელებს ჰირიათ ასეთი ნაკვეთები ქართულ ყოფიდან, რომ მათ ისინი დაუახლოვდენ მშობლიურ თეატრს და მათ გაუადვილდეთ თავის რაობა ვინაობის შეცნობა.

ვოდევილში უდარდელი ქორწინებით გაბედნიერების მჭვრეტი ქიზიყელი თავადიშვილი დ. ძნელაძე მშვენიერი იყო, ზარო მღივანი ჩვეულებრივ ნიჭ მოხდენილობით ანსახიერებდა გასათხოვ თავადს. საზოგადოებას მოეწონა შ. ლამბაშიძე თავის როლში. ჩერქეზიშვილს, გაწბილებულ დედას ქალგას, რომ ცემდა დაწოლებ რომ ხდიდა ცოლის შერთვას საქმეში დამარცხებულ შვილს ალტაცებაში მოჰყავდა აუდიტორია.

საზოგადოება ბევრი აცინა ავხაიძის პაროდიებმა განსაკუთრებით გრ. რობაქიძეზე.

გ. ქუჩიშვილმა დასჭიქა თავისებურ ხმით, მუდამ ბრძოლისთვის გამზადებულმა მღელვარე ზღვა შეაძრა ამ ლექსში. მეტად სასიამოვნო იყო მისი 3-ემა ზღაპარი კოშკის ამბავი.

ი. გრიშაშვილი გამოვიდა ორიგინალურ სიკოხტავით, ლექსის საქართველოზე მგრძნობიარე შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

ი. გრიშაშვილი ტკბილი და ნაზი მომღერალია მას არ ყვებოდა სა-

ზოგადობა ვერ ძლებოდა მისი სიმღერით, საღამო მოხდენილი და ლამაზი იყო, მიუხედავად იმისა რომ ამ დღეს წარღვნისებური წვიმა იყო. ხალხი შედარებით ბლომად დაესწრო, სამწუხაროა ის რომ ქართველ მუსლიმანებიდან ასეთ საინტერესო საღამოებსაც კი ნაკლებათ ესწრებიან. დიდი მადლობის ღირსი არიან სტუმარ-პოეტ-არტისტები, ვინატრით, რომ ასეთი საღამოები და შინაარსიანი წარმოდგენები ხშირი ყოფილიყვეს აქ ბათომის ეროვნულ კულტურულ ასამაღლებლად და გამოსაფხიზლებლად.

ჯ—ლი.

## ლტოლვილ ბერძენთა ცხოვრებიდან.

22 ნოემბერს უკვე ჩამოვიდა ნაწილი ბერძენთა ლტოლვილებისა, რომლებიც მიდიან სომხეთიდან თავის სამშობლოში წასასვლელათ. ორი თვე არის რაც სომხეთის თანამედროვე მდგომარეობამ აიძულა ყარსის მიდამოებში მცხოვრები ბერძნები დაეტოვებიათ თავიანთი სახლ-კარი გადმოხვეწილიყვენ (ცოლშვილით და საქონლით ჩვენ ტერიტორიაზე. ეს ბერძნები არ არიან დროებითი მცხოვრები, არამედ, არიან თითქმის მკვიდრი მცხოვრები ყარსის ოლქისა, სადაც ისინი ცხოვრობდენ 1879 წ. შემდეგ დღემდე. ყარსის ოლქის დაკავების შემდეგ რუსების მიერ, ეს ბერძნები კარგ ნაყოფიერობის გამო „ვგიოლის მიდამოებისა“ იძულებული გახდენ ურმიიდან გადმოსახლებულიყვნენ აღნიშნულ მიდამოებზე. ამ ხნის განმავლობაში მათმა მუყაითმა მეურნეობამ გააუმჯობესა მათი ეკონომიური მდგომარება, მაგრამ ექვსი წლის ომმა არა ერთხელ მიაყენა მათ გაჭირვება და ზარალი, რის გამო მათ გადაწყვიტეს საბერძნეთში გადასახლება და კიდევაც აქვთ სათანადო ნებართვა საბერძნეთის მთავრობისაგან, რომელმაც მათ დასასახლებლათ დანიშნა სალონიკის მიდამოები.

ეკენისთვის პირველ რიცხვებში ცხრამეტი ბერძნული სოფლები, რომლებიც წარმოადგენს 18,000 მცხოვრებთ 3500 ფურგუნამდე 20,000 სული საქონელით, უკვე მიადგენ ჩვენ საზღვრებს და ჩვენმა მთავრობამ გაუწია მათ ყოველგვარი დახმარება. ძნელი წარმოსადგენია ის გაჭირვება თუ რაც გადატანილი აქვთ მათ ამ მოგზაურობის დროს, უკანასკნელ ხანებში წვიმიანობის და უამინდობის გამო. ეხლა როდესაც ისინი დაუახლოვდნენ ქ. ბათომს, ჩვენი მთავრობა იძულებული შექმნა მათ დასაბანაკებლათ მიეღო ზომები, მათი დაბინავება და მოთავსება მიენდო ოლქის უფროსის თანაშემწე ბ-ნ ვასაძეს.

უკვე ჩამოვიდა 1200 ფურგუნი თავიანთი საქონლებით რომლებიც დაბინავდენ კახაბერის მიდამოზე და უამინდობის გამო მათ ეხოცებათ საქონელი, თვით ხალხი ცხოვრობს ფურგუნებში და სიცივემ უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა.

საბერძნეთის მისია თუმცა კი დაპირდა მათ მალე გადაგზავნა მაგრამ დღევანდელ პირობების მიხედვით ეს ტეხნიკურათ მოუხერხებელია, ვინაიდან მათ გადაყვანას ერთი და ხუთი გემი ვერას უშველის.

თუ ეს ლტოლვილები ორი სამ კვირის განმავლობაში არ იქნენ გაგზავნილი, იმ შემთხვევაში მათ გაუწყდებათ თავიანთი საქონლები და თვით ხალხიც დაავადმყოფდება. მოსალოდნელია რაიმე ეპიდემიური სენის გაჩენა ამისადვის მათ მალე გადაგზავნისათვის არის საჭირო განსაკუთრებული ყურადღებას მიქცევა.

„ივე“

## ჯარის კაცის სიმღერა.

გაშალეს დროშა
ჯარი შეჰყარეს...
საქართველოზე მოდის მტერიო.
არ შეგეშინდეს ჩვენო მშობლებო.

შიში არ იგრძნო
ტურფა მამულო,
ქართველის ხმალი
ჯერ არ შემდგარა,.
მტერს ზურგი ქართველთ
როდის აჩვენეს?.,
დღესაც ქართველი
გაამაყდება და ბრძოლის ველზე
წავა სიმღერით,
ნუ გვერჩი მტერო
თორემ ჩვენ ხმალსა
ბევრი თქვენგანი უნაცვლებია.

ა. ჩხარელი.

## ორი დროშა.

საქართველოს დემოკრატიამ, იმ დღიდგან რაც კი რუსეთის ტყვეობას თავი დააღწია, სათუთი გრძნობით და ძლიერი ხელებით აწია თავის სისხლით მოპოვებული ორი დროშა. დროშა ეროვნული და დროშა წითელი. დროშა ეროვნული, რომელიც არ ჰგავს ძველ ქართველ მეფეების დროშას, რომელსაც თავისი ნებით სამშობლოსათვის თავგანწირულ ხალხის დაუკითხავათ ხან აწევდენ, ძირს დაუშვებდნენ და ხან კი მტერს გადასცემდენ.

ახალი დროშა, რომელიც საქართველოს დემოკრატიამ თვითონ შექმნა და თვითონვე ჩაიბარა, ისეთივე წმინდაა, როგორც საქართველოს დატყვევებულის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი სისხლი. საქართველოს სისხლის ფერ დროშაზე ოქროს კედით ამოქარგული თეთრი გიორგი, დემოკრატიულ საქართველოს მამის—ნოე ჟორდანიას თქმით: „დაულალავი და ფხიზელია; მთებში თუ ბარში, საიდანაც უნდა ელოდეს საქართველოს საფრთხე, გიორგი იქ საფრთხის წინაშე გაჩენილია და მის უკან დგას საქართველოს ხალხი“. მაგრამ თეთრ გიორგის ვერავინ ნახავს საქართველოს საზღვრის იქით. მან იცის თუ რა წმინდათა წმინდაა ყველასათვის თავის სამშობლო და მისთვისაც მიაღწევს თუ არა საზღვარზე, ათასი გააფთრებული იყოს მისი რაში, იქ შეჩერდება, რათა მის უკან მომავალმა ლაშქარმა არ გაუფუჭოს ყანა და ბახჩა, თუგინდ იმ ხალხს, ვინც მოინდომა ჩვენი ქვეყნის აოხრება.

თეთრი გიორგი, შვიდი მნათობით განათებული თავის შუბის [illegible]დილოდ გულში ცემს ყველა ორგულს და ყველა მონას, ვინც მის სამშობლოში დასაპყრობათ ფეხს გადმოაბიჯებს.

ის არის თავისუფალი თავის ქვეყანაში და საზღვრიდან სალამს უძღვნის ყველა თავისუფალ მეზობლებს.

თეთრი გიორგი—საქართველოს დემოკრატიაა და მისი რაში, რომელსაც დააქროლებს ჩვენ ზღაპრულ ქვეყანაში—ხალხის ძალაა. თუ კი მოინდომა ვინმემ, შინაური იქნება იგი თუ უცხოელი თეთრი გიორგის ძირს გადმოგდება და მისი რაშის აღვირის ხელში აღება, მაშინ გიორგის რაში თავის ტორებით დაჰქუსლავს მას და არჩევს თეთრი გიორგის ქვეშ მოკვდეს, ვიდრე თავის ზურგზე შეასვას ვინმე.

თეთრი გიორგი დღეს აქეთ—ძველ მესხეთის საზღვარზე დგას და მისი რაში ამაყად იყურება ოსმალეთისაკენ.

თეთრი გიორგის თავის შუბი გაუწევია წინ და ჩაფიქრებულა მან იცის რომ თავის გაწვდილ შუბზე პირველად უწდა წამოეგოს და სისხლი დაღვაროს საქართველოს ერთმოსისხლე ძმამ—ლაზმა, რომელიც დაბრმავებულა და დაჰკარგვია მეხსიერება, ვერ ხედავს გიორგის, მის შუბს და არ ახსოვს, რომ ისიც ქართველია. თეთრ გიორგის ეს აწუხებს.., თეთრ გიორგის უნდა თურქებშიაც გაჩენილიყოს მასავით შეუპოვარი, ძლიერი, თავისუფალი, სხვისი უფლების პატივის მცემელი, თეთრ რაშზე შემჯდარი თავის მიწაწყლის დამცველი გმირი ახალი მთვარით განათებული, რომელიც მოსულიყოს მის წინ არა მზაკვრული აზრით არამედ ხელი გაეწოდოს და მეზობლურად, სიყვარულით ხელი ჩამოერთმევას. თეთრი გიორგი ემბლემაა საქართველოს მთლიანი სხეულისა და საქართველოს სულის ემბლემა კი წითელი დროშაა. წითელი დროშა ემბლემაა კაცთა შორის ძმობისა, შრომის უფლებისა და სიყვარულისა, ძირს უთხრის მონობას, მსუნაგთა ხროვის ბატონობას ხალხზე, სპობს და ჰკლავს ზედმეტ ქონიდგან გაპირუტყვებულებს, რომლებიც ხალხის უბედურებაზე აშენებენ თვის ბედნიერებას, ისაკუთრებენ ბუნებით შექმნილ სიმდიდრეს—ქურდულათ თუ გაიძვერულად ხალხის შექმნილ დოვლათს თვით ითვისებენ, და ხალხს კი შიმშილით ჰკლავენ, ახალგაზრდა, სილამაზით სავსე ასულებს ლითონით ჰყიდულობენ რყვნიან არღვევენ ოჯახს, ყველაფერს ნივთად აქცევენ—ქალის სილამაზეს, ბუნების შვენიერებას, ყველაფერს ჰყიდულობენ და ჰყიდიან.

წითელი დროშა ეს არის შრომის უფლება, რომელიც აპირველებს მას ვინც თავის ოფლით პაპანაქება სიცხეში წყლის ნაცვლად თავის ოფლით რწყავს დედა მიწას, აცოცხლებს უწყლობით შეწუხებულ ყანას მინდორში და აყვავილებს ბაღში ჩაფიქრებულ ვარდებს.

წითელი დროშა—ცეცხლური სიყვარულია, რომელიც უნდა მოედოს მთელს ქვეყანაზე, რათა დაწვას ჩაგვრა და მონობა და აღამაღლოს სათნოება და სილამაზე, ძმობა და თანასწორობა.

საქართველო თავის სულს—წითელ დროშას გულში ინახავს, რათა როცა გაიმარჯვებს ქვეყანათ სიმართლე გიორგის ჩამოართვას მისი შუბი, რომელიც თავდაცვის სიმბოლოა და მის მაგივრათ მისცეს ხელში საქართველოს დემოკრატიის წმინდა სული—ინტერნაციონალური წითელი დროშა.

დავით კოპალი.

## ტარიფი შემოსატან და გასატან საქონელზე.

ნოემბრის 19-ს ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე განიხილეს საბაჟოს ახალი ტარიფი შემოსატან და გასატან საქონელზე. მომხსენებლად გამოვიდა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო განყოფილების გამგე [illegible]ძე, რომელმაც საბჭოს [illegible]ჟამად მოქმედ კანონის უმთავრესი საფუძვლები. ამ კანონთა სამაგიეროთ უნდა შემოღებულ იქმნას ახალი, რომელიც 218 მუხლისაგან შედგება. ახალი საბაჟო ტარიფის მიხედვით ყველა შემოსატანი საქონელი გაიყოფება ოთხ ჯგუფად: 1) სურსათ სანოვაგე, მიწის დასამუშავებელი იარაღები და მანქანათა ნაწილები უბაჟოთ შემოიტანება, 2) სავსებით აკრძალულია ფუფუნების საგნების შემოტანა, 3) მასიურ სახმარებელ საგნებზე დაწესდება მცირედ ბაჟი და 4) ყველა სხვა დანარჩენ შემოსატან საგანს დაედება ბაჟი იმისდამიხედვით, თუ როგორ საჭიროებას წარმოადგენენ ისინი რესპუბლიკის მცხოვრებთათვის. გასატანი საქონელი გაიყოფება სამ ჯგუფად: 1) პირველ საჭიროებისა ან მასიურ სახმარებელ საგნებს აკრძალვითი ბაჟი ედება, 2) სამონოპოლიო საქონლების და ყოველგვარი ნედლი მასალების გატანა, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხო ბაზარზე, მ. ი. მარგანეცის, თამბაქოსი, აბრეშუმის, მ ტყლისა და სატყეო მასალის, ნებადართული იქნება მთავრობის მიერ დაწესებულ სათანადო ბაჟის გადახდის შემდეგ და 3) სხვა საქონლები, რომელთაც დიდი ბაჟი ედება. აღნიშნულ ტარიფის საერთო პრინციპი გამოიხატება იმ მისწრაფებაში, რომ გაძლიერდეს საქონლის გატანა და შემცირდეს შემოტანა, რაც ხელს შეუწყობს დადებითად სავაჭრო ბალანსის გამტკიცების საქმეს.

შემდეგ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის თავმჯდომარე დ. აფხაზმა მოკლე მოხსენება გააკეთა ახალი ტარიფის პროექტის საკითხის ისტორიის შესახებ. ამ პროექტს ამუშავებდენ ფინანსთა მინისტრის საბჭოს დადგენილების თანახმად. პროექტის დამუშავებაში მონაწილეობას ღებულობდნენ დაინტერესებულ სავაჭრო სამრეწველო წრეების წარმომადგენლნიც. ეს პროექტი წარმოადგენს იმ კომისიის მუშაობის შედეგს. პროექტის განხილვის შემდეგ საბჭომ დაადგინა: მიიღოს სავსებით კანონ პროექტი და წარუდგინოს მთავრობას

## უცხოეთი.

### გერმანია.

გილფერდინგის სიტყვა დამოუკიდებლების კონგრესზე.

(დასასრული*)

გილფერდინგი იცავს იტალიის სოციალისტების ბრალდებისაგან თითქოს ისინი რევოლიუციის საბოტაჟს უწევენ. შემდეგ გილფერდინგი ეხება აღმოსავლეთის მოძრაობას და მიუთითებს, რომ ეს მოძრაობა არის გლეხური ნაციონალური და მუშურ-კომუნისტური. თვით ინდოეთისა და ოსმალეთის დელეგატები აღიარებენ, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის თეზისები უფრო ართულებს მათ მუშაობას.

საერთოდ ბოლშევიკების პოლიტიკა აღმოსავლეთში წარმოადგენს ველიკოდერჟაველ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მას აწარმოებს არა ამ ქვეყნის მუშები, არამედ ბოლშევიკური მთავრობა.

ლედებურის აზრი კოლონიალური პოლიტიკის შესახებ, რომელზედაც ეყრდნობოდა ზინოვიევი თავის

*) იხ. „ბათ. ფურც.“ № 65

სავაჭრო სახლი
ძმ. სესიაშვილები და ამხ.
შერემეტევის ქ. № 74

კავკასიური
ნატურალური კონიაკი
ვაჭრობა ბითუმათ, ჩოჩკებით და ბოთლობით.

კურის ღვინო
„რეკორდი“
საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის“ აპარატებით
ყურძნის არაყი.

ხილის არაყი („ჭაჭა“)
ახლად დამზადებული ახალი ღვინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლად ფირმა სთხო[ვს]
ყველა მომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიღლია.

სიტყვაში—ჩვენი აზრია. გილფერდინგს მოყავს ციტატები 1907 წელს დაბეჭდილ კ. კაუტსკის წიგნიდან „სოციალიზმი და კოლონიალური პოლიტიკა“. რუსი ამხანაგების პოლიტიკა გადილდა სოციალისტურ პრინციპებს და ველიკოდერჟავული გზისკენ გადაიხარა.

გილფერდინგი აკრიტიკებს მესამე ინტერნაციონალის აგრარულ პროგრამას, რომელიც მიუღებელია გერმანიისათვის.

შემდეგ ის ლაპარაკობს ტერორისა და ცენტრალიზაციის შესახებ:

„ჩვენ არ გვინდა ისეთი პოლიტიკა, რომელიც მასებზე დიქტატურამდი მიგვიყვანდა, ჩვენ უნდა დავიპყროთ ხალხის სიმპატიები, რათა მისი დახმარებით სოციალური დემოკრატიის ბატონობა დავამყაროთ. ზინოვიევი მართალს არ ლაპარაკობს, როცა ამბობს, რომ ჩვენ წინაალმდეგი ვიყავით ძალისთვის მიგვემართა. ტერორის ქვეშ ჩვენ წარმოდგენილი გვაქს მთავრობის პოლიტიკის ისეთი გამოხატულება, როცა ის ებძვის ყოველ აზრს, რომელიც მის აზრს არ ეთანხმება, ციხეში ათავსებს იმ პირთ და მათ ოჯახებს, რომელიც მას არ მოწონს. ჩვენ წინაალმდეგი ვართ ტერორის, რომელიც უარყოფს არჩევნებს, რომელიც მენშევიკური უმრავლესობის არჩევით დამთავრდა.

ამ ტერორის წინაალმდეგ ჩვენ ვიბძვით.

შევეხოთ ინტერნაციონალში შესვლის პირობებს ის რასაც ზინოვიევი და პრეობრაჟენსკი წერენ თავისი დე-ცენტრალიზაციის წინაალმდეგ, ჩვენ თვის ახალი არ არის.

მას მოყავს ციტატა როზა ლიუქსემბერგის წერილიდან, რომელიც მიმართული იყო ცენტრალიზაციის წინაალმდეგ, რომელსაც ჯერ მაშინ მოითხოვდა ლენინი.

ჩვენ ეს პირობები უნდა უარვყოთ, თორემ აღმასრულებელ კომიტეტის და მაშასადამე რუსული კომუნისტური პარტიის ზეგავლენის ქვეშ ჩავარდებით. როდესაც ლაპარაკია ისეთ რამეებზე, რაც პროლეტარიატისგან ენერგიის მაქსიმუმდე განვითარებას მოითხოვს, მაშინ მასებმა თვით უნდა გადაჭრან ყველა საკითხები, მაშინ სარდალი არ უნდა ესაჭიროებოდეს.

მე ჯერ კიდევ მჯერა შონსტაძერის სიტყვები: დიდ არის ძალა სიმართლის და ის გაიმარჯვებს.

შემდეგ ხინოვიევი განაგძობს:

შვეიცარიის სოციალისტური პარტიის გამგეობამ უარყო მოსკოვის პირობები, ის მოითხოვს პირობების გადასინჯვას. ამერიკაშიც ასეთი უარი თქვეს. ინგლისის დამოუკიდებელი პარტია უარს ამბობს შეერთებაზე. იტალიის და ნორვეგიის პარტია ისეთივე კრიზისს განიცდის, როგორც ჩვენ. და ზინოვიევი თითქოს დათმობაზე მიდის. ის ალბათ სწაილობდა, რადგან რუსეთში ასეთი დათმობები იყო.

ამრიგად უნდობლობა უნდობლობის წინაალმდეგ, მე ვიტყვი თუ რას ვფიქრობ ამ წინადადების შესახებ. ჩვენ დიდი ხანია მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ამ საკითხის შესახებ და შესაძლებელია, რომ ისეთ პირობებს არ დაგვისვამდენ ლეინგს და შტეკერს, რომ მოსკოვში დისციპლინა არ დაერღვიათ.

გაქვთ თუ არა თქვენ მონდობილობა დათმობებზე წახვიდეთო ამხ. ზინოვიევო? დაგვალეს თუ არა თქვენ კვლავ აწარმოობთ მოლაპარაკება ცნობილ მოღალატეებთან? მე ვფიქრობ—არა, ზინოვიევმა გააცხადა, რომ ტონს მნიშვნელობა არ უნდა მივცეთო. თუ ის ამას სერიოზულად არ უყურებს, მით უფრო უარესი, რადგან შედეგები მეტად სერიოზული იქნება.

ჩვენ ამას ვხედავთ როგორც ყრილობაზე ისე მხარეში, სადაც მუშებს ამხედრებენ თავის ამორჩეულების წინაალმდეგ. იმ საშვალებებს, რომელთაც თქვენ მიმართავთ ჩვენ წინაალმდეგ, ხვალ კომუნისტები მიმართავენ თქვენ წინაალმდეგ.

ამ მუდმივი დევნით თქვენ კარებს უღებთ ყველა პოლიტიკურ ავანტიურისტებს. რითი უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენ: ტონით თუ წინადადებით.

თუ ზინოვიევი ლაპარაკობს აღმასრულებელ კომიტეტის სახელით, მე ვაცხადებ, რომ იმ პირთ პირობები, რომელიც ყრილობამ მიიღო, შეუძლია შეცვალოს მხოლოდ ყრილობამ.

უნდობლობა უნდობლობისათვის: —ჩვენ არავითარი ნდობა არა გვაქვს ამ წინადადების სიპატიოსნისადმი.

### ი ტ ა ლ ი ა.

პოლიტიკური კრიზისი.

ლითონის დამმუშავებელ მუშების მოძრაობის შედეგებმა არ დააკმაყოფილეს, როგორც მე უკიდურესი რევოლიუციონური ელემენტები, ისე მემარჯვენეები, რომლებიც ლითონის და ქიმიური სხვილი წარმოების იდეოლოგები არიან.

მართალია, სოციალისტები პარტიის ექსტრემისტული გამგეობა იძულებული გახდა დამორჩილებოდა შრომის ცენტრალური კონფედერაციის დადგენილებებს მით უფრო, რომ თვით გამგეობაში უთანხმოებამ იჩინა თავი, მაგრამ ანარქისტები და ანარქო-სინდიკალისტები, რომელთა გავლენა მოძრაობაზე მეტად უმნიშვნელო იყო, შეეცადენ „ბედი ეცადათ“. გაახლდა ტერორისტული თავდასხმები, მიტინგებისა და პროტესტის ნიშნათ გაფიცვების დროს ანარქისტები ცდილობდენ ქუჩაში შეტაკება გამოეწვიათ. მათი ყურადღების ცენტრი გახდა სინდიკალური კავშირი (Yniono S ndicate), მცირე ორგანიზაცია სინდიკალისტებისა, რომელიც ებრძვის შრომის სოციალისტური კონფედერაციას.

ჯიოლიტის მთავრობა, რომელსაც არ უნდოდა კონფლიქტში ჩარევა, იძულებული გახდა ბურჟუაზიული პარტიების ზეგავლენით, გამოძიება დაეწყო და დაეპატიმრებია ზოგიერთი პირები, დაატუსაღეს ცნობილი აგიტატორი, ანარქისტების ბელადი ენრიკო მალატესტო და ზოგიერთი სხვები. ზოგიერთ დატუსაღებულთ ბომბები აღმოაჩნდა.

ბოლშევიკურმა „Altnav“-მ ამის გამო კომპანია დაიწყო „თეთრი ტერორის წინაალმდეგ.

ამავ დროს ამოძრავდა ნაციონალისტები და რეაქციონერები. ასინი ჯერ ლითონზე მომუშავეთა მოძრაობის დროს იძლეოდენ წინადადებას ერთი დაკვრით მოესპოთ სოციალისტები: გაეშვათ პალატა და გამოეცხადებიათ სამხედრო დიქტატურა.

უკანასკნელ ხანებში მთელი იტალიის პრესა აშკარათ ლაპარაკობს სამხედრო შეთქმულების და რეაქციონურ გადატრიალების შესახებ.

სოციალისტმა დეპუტატმა მარგარიმ პარტიის გამგეობას, რომელსაც 21, 22 და 23 ოქტომბერს სხდომები ქონდა ფლორენციაში. ცნობები მიაწოდა ამ შეთქმულების შესახებ. გაზეთები ასახელებდენ გენერლებს კაველიას და ჯარდინოს, და რასაკვირველია დანუნციოს. ის უკანასკნელი ზოგიერთის ცნობებით, აეროპლანით უნდა მოფრენილიყო რომში პატრიოტული დღესასწაულის დღეს, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო 25.000 ფრონტოვიკს, და აჯანყების დროში უნდა ეფრიალეპია.

ნაციონალისტების ორგანო Idea Hazionale უარყოფს შეთქმულობის არსებობას, მაგრამ აცხადებს, რომ სამხედრო დიქტატურის მომხრეა. გაზეთის აზრით შექმნილ მდგომარეობიდან პარლამენტარული გზით გამოსვლა შეუძლებელია. ამ პარლამენტს არ შეუძლია აირჩიოს მთავრობა, რომელიც შექმნილ მომენტს თავს გაართმევს. გაზეთი ჩამოთვლის ხალხს, რომლებსაც მისი აზრით შეუძლიათ გამოვიდენ შექმნილ მდგომარეობიდან. ესენი არიან: გაბრიელ დ'ანუნციო, ამირბარი მილნო, გენერალი კავილია. Idea Nazionale იძლევა გენერლების მთავრობის პროგრამასაც: 10 საათი სამუშაო დღე, პურზე ფასების კილოგრამზე 3 ლირამდე გადიდება, გაფიცვების აკძალვა.

გენერალმა კაველიამ გაზ. „Corviere della Sera-ს“ თანამშრომელთან საუბარის დროს გააცხადა, რო[მ] ის წინაალმდეგია, როგორც რევ[ო]ლიუციის, ისე რეაქციის, სამხედ[რო] შეთქმულების და გადატრიალებ[ი]სო.

მეორე გენერალის — ჯარდინ[ოს] ინტერვიუს პრესა ხსნის, როგორ[ც] მთავრობის წინაალმდეგ მიმართ[ულ] მუქარას.

დ'ანუნციოს მეგობარმა გერც[ო]გმა დ'აოსტამ მილანში სიტყვა [წარ]მოსთქვა, რომელსაც „Avanti“ პრ[ო]გრამულ სიტყვას უწოდებს. [მან] გააცხადა, რომ „დადგა გადამწყ[ვეტი] ლი და სერიოზული მ ო მ ე ნ ტ ი ... საჭიროა განმანადგურებელ „ტე[ნ]დენციებთან“ ბრძოლაო.“

მთავრობა იღებს წინასწარ ზ[ო]მებს. ჯიოლიტიმ, რომელიც სა[მ]ხედრო დიქტატურის სასტიკი [წი]ნაალმდეგია, ზარიდან გამოი[წვია] დალმაციის გუბერნატორი ამირბა[ლი] მილლო.

ამავ დროს პარლამენტულ წრე[ებ]ში „კულუარული“ ბრძოლაა. ლ[ა]პარაკობენ, რომ „ჯიოლიტი და[ეცემა] ლალა და პალატის გახსნისას გად[ა]დგებაო“.

ლაპარაკობენ მის მემკვიდრეებზ[ე], რომელთაგან ნიტის დაბრუნე[ბა] ყველაზე უფრო მოსალოდნელი[ა], როგორც ვიცით ჯიოლიტი სოცი[ა]ლისტებთან კოალიციის მომხრ[ეა] და შესაძლოა, რომ უკანასკნელ[ე]ბის მიერ კოალიციაზე უარის თქმ[ის] გამო ის გადადგება, თუმცა დან[ა]მდვილებით არავინ იცის თუ ... კომბინაციებს ამზადებს აქ გამოქვ[ეყნე]ლი, და პარლამენტურ ბრძოლებ[ში] გამოცდილი პოლიტიკოსი.

## მუშათა შორის.

25 ნოემბერს შრომის ბირჟაზე შე... ვიდა 25 კაცი, ამათგან 16 ქალ[ი]. ხელ ახლად ჩაეწერა 4 კაცი, ამა[თ]გან ერთი ქალი. შრომის ბირჟა[ში] წარდგენილია მოთხოვნილება ... შეშის მჩეხელთა მისაღებათ.

შრომის ბირჟა მოუწოდებს შე[შის] მჩეხელებს გამოცხადდენ ბირჟაზე.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადება
გვაქს პატივი ვაცნობოთ ბათუმის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვ[ენ]
ძმ. აბულაძეებმა გავხსენით
სასადილო
ნორიაში ასათიანის და შეპელევის მოსახვევში 19—20 სადაც მზადდ[ება]
იმერული საჭმელები.
და აგრეთვე იშოვება ღვინო და მაგარი სასმელები. ყველაფერი ხელ[მი]საწვდენათ და ზომიერ ფასებში.
საჭმელებს ამზადებს იგივე ცნობილი მზარეული კოსტა აბულაძე.
პატივისცემით ანტონ აბულაძე,

ელექტრო-მბეჭდავი სტ მბა ხ. ე. ამაევსკისა. მ ხ...ვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.